

# საქართველო საგანგ

გამოცემა შენობების მყიდვი ხელ-ფაზაზ — ბის კომიტეტისა.

1928 წ. იანვარი.

რვეული მეოთხე.

იმ ე დი თ და ხი მ ტ კ ი ხ ი თ.

ბოლშევიკებმა თავის ბატონობის ათი წლის თავი იდლე-  
სასწაულებ და შვიდი წელიწადი სრულდება, რაც რუსის ჯა-  
რი და ქართველი მოლალატეები საქართველოს დაეპატრონენ  
და ქართველ ხალხს მძიმე ბორკილები დაადვეს. ოკუპაცია  
ისევ გრძელდება, მტერი განაგრძობს თარეშს ჩვენს მიწა-წყალ-  
ზე. დამონებული ერი გმინავს, სიცოცხლე გამწარებულია,  
ყველგან სიმშილი და სიტიტვლეა, შეხუთული აზრი ციხის  
კედლებს ასკდება და ყველგან დევნილი ადამიანი ვერსად ჰპო-  
ულობს თავშესაფარს. არის საქართველო, მაგრამ არა ქართ-  
ველების; ქართველობა სამარცხინოა და ქართულის მოლა-  
პარაკე ორგულთა რიცხვშია ჩაწერილი და კანონის გარეშე  
გამოცხადებული. მონობის ბეჭედით არის დადალული ყოვე-  
ლი და ყველაფერი და ვისაც ღდნავი წინამდევობის სული  
გამოუჩენია, ყველა ციხის ჯურლმულებშია ამომპალი ან უც-  
ხო ვერან ადგილებშია გადასახლებული, სასიკვდილოთ გან-  
წირული.

ბოლშევიკები დღესასწაულობენ. რას? ქართველი გლეხის  
გაძვალტყავებას, ქართველი მუშის დაქვეითებას, ქართველი  
ინტელიგენტის საექსპორტო გამზადებას და ქართული მწე-  
რლობისთვის უსასტიკესი ცენტურის დაწესებას, სკოლების  
უცოდინარობის ბუდედ გადაქცევას, უნივერსიტეტის ჩეკის-  
ტებად ღლონტის და სულაქველიძის დანიშვნას? ან ეგებ იმას  
დღესასწაულობენ, რომ ჭიათურა უცხოელებს ჩაუგდეს ხელ-  
ში, საქართველო რუსეთის კალონიად გახადეს, ქართველი ხა-  
ლხის ნამუშევარს ახერ ფასად უგდებენ მოსკოვს ხელში და

რუსის უკარგისს საქონელს უზომოთ აწეულ ფასებში აწვდიან ქართველ გლეხებს და მუშებს? რომ გაკოტრეს კოლერატიკები და იქ აღარ მოიპოვება პროველ საჭიროების უბრალო საგანიც კი? ან ის აქვთ სადლესასწაულო, რომ ერთი რკინის გზა დააქციეს და მეორე აღაგას ააგეს, ქუთაისი უბრალო სოფლამდის დასცეს და სამაგიეროთ ერთი ქარხანა გაუხსნეს, რომ ჩაპესი და სხვა პესი მოაწყვეს, მაგრამ უხეიროთ და საზღლაპრო ხარჯებით. რომ გამართეს ფაბრიკა-ქარხნები, რომელთა ნაწარმოები ისე ძვირი ჯდება, რომ მყიდველი ვერ უშოვნიათ? შეიძლება იმისთვისაც გადაიხადეს იუბილე, რომ ყველგან უზნეობა და გარევნილება გაამეფეს, ჯაშუმობა და გამცემლობა გმირობად მონათლეს, ქალაქი და სოფელი ლენინის ნაწერებით გაავსეს, მთელი საქართველო რუსული მწერლობის და კულტურის მოხარკედ გადააქციეს?

ეს ყველაფერი არის, არის კიდევ სხვა ბევრი ასეთი მიღწევა ძალმომრეობის და ინკვიზიციის, ფართიფურთობის და თვალმაქცობის, მატყუარობის; არის უფრო მეტი, ვიდრე ამაზე ლაპარაკობენ ბოლშევიკები სადლესასწაულო კრებებზე და მიტინგებზე და სწერენ საიუბილიერ გამოცემებში. მაგრამ ყველაფერი ეს არის საგანი ბოლშევიკების მარტო პირადი სიხარულისა და ქართველი ხალხისთვის კი აქ მხოლოდ ზიზღი, სიძულვილი და შეურიგებელი მტრობაა. ქართველ ერს წილი არა აქვთ ამ დღესასწაულში, ეს დღესასწაულია მისი დამამხობლების და გამანადგურებლების, მისი წმინდათა წმინდის წამბილწველების, მის სამშობლოს დამმონებლების, მისი თავისუფლების და კეთილდღეობის დამმარხველების.


ბოლშევიკები და ქართველი ერი ერთმეორის სრული წინააღმდეგობაა. ბოლშევიკები არ ენდობიან ქართველ ერს, მაგრამ ქართველი ერი კიდევ უფრო არ ენდობა თავის ვერაგს მტერს და თუ იყო დღესასწაული და მოგონება, ეს იყო გახსენება იმ საშინელი უნდობლობისა და უფსკრულისა, რომელიც არსებობს ოუპანტებსა და საქართველოს შორის. უნდობლობა არ ნელდება, პირიქით იზრდება, ღრმავდება, ყოველი განვლილი დრო მისი გამამტკიცებელია, ყოველი საიუბილეო მოგონება მისი გამამწვავებელია. ფრიალობენ უცხო დროშები, ირაზმებიან უცხო ჯარები, ირთვებიან ბატონები, ყვავილებით და ფერებით ამკობენ თავის კარებს, უკრავს მუსიკა, ისმის ყიუინა მოდლესასწაულეთა, მაგრამ ყოველივე ეს უღვიძებს სიმწარეს და ბრძოლის წყურილს ერს დამონებულს, დაბექავებულს, ლირსება აყრილს...

აი როგორი იყო ბოლშევიკების დღესასწაული ქართველი ერისთვის: ბოლშევიკებმა ერთხელ კიდევ გამოუცხადეს მას დიდის ზეიმით, თუ ვინ არიან მოძალადენი, საქართველოს დამპყრობელები. ბოლშევიკები დღესასწაულობენ თავის ბატონობას, ქართველები იგონებენ თავის მონობას, ჩაგვრას, დამცირებას, იგონებენ განვლილ შავ წლეებს, ხედავენ აწინდელ ვაებას და კიდევ უფრო შეურიგებელნი ხდებიან, კიდევ უფრო მოწადინებულნი არიან წინამდევობას და მეტის მონდომებით ელოდებიან იმ დროს, როცა დაამსხვრევენ ბოლშევიკურ ხუნდებს და თავისუფლების დროშა ისევ დიდებულად აფრიალდება საქართველოს მწვერვალებზე.

წლები გავიდნენ, ბრძოლა გრძელდება—მაგრამ ქართველის გულში ერთ წუთსაც არის არ დაიბუდებს გრძნობა შერიგებისა და მორჩილების; ბოლშევიკი მისთვის კვლავ მტერია დაუნდობელი, რომელსაც უნდა უპასუხოს მხოლოდ დაუნდობელის ბრძოლით. შფოთავს ერის სული, ხან მედგრად შესძახებს მაჭირვებელს: «შორს ჩემგან ერის თავისუფლების და ლირსების დამთრგუნველნო!» ხან კი მოთმინებით აღჭურვილი, ჩაკლულ დუმილით შეპყურებს ბოლშევიკების ბოროტებას, მაგრამ ამ დუმილში გროვდება და იჩრდება სულიერი ძალა, რომელიც იფეთქებს შესაფერ გარემოებაში და საბოლოოთ წალეკავს საბჭოების ხელმწიფობას.

იმედით და სიმტკიცით შევყურებდეთ სანატრელ მომავალს. საქართველოს განთავისუფლება და ქართველი ერის აღდგენა გარდაუვალია, იგი ახლოვდება, მას ვერ შეაჩერებენ ბოლშევიკების ზომები. მათი ზეიმობა და ყიუინა ვერ დაჩრდილავს ქართველის შეგნებაში ბოლშევიკური წყობილების დანგრევის აუცილებლობას...

განვაგრძოთ ჩვენი მძიმე, მაგრამ მაღალი და კეთილშობილი მუშაობა. იმედი გამარჯვებისა ვკინათებდეს გზას და სიმტკიცე წებისა აღონიერებდეს ჩვენს მოქმედებას. წარვსდგეთ ყველანი განთავისუფლებული ერის წინაშე წმინდა სინდისით, რომ მასთან ვიყავით გაჭირვების დროს, მისთვის ვფიქრობდით, მის აღდგენას მივუტანეთ მთელი ჩვენი ნიჭი, ენერგია და სიცოცხლე!





ბოლშევიკების პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

ბოლშევიზმი და ეროვნება ერთი მეორის სრული წინამდებარებაა, ერთმანეთს არასოდეს შეეგუებიან—ეს უდავო ჭეშ მარიტებაა და დღესავით ნათელი ყველასთვის, ვინც ოდნავადაც არის იცნობს თეორიულად ბოლშევიკების მსოფლმხედველობას ან ვისაც რამდენსამე ხანს მაინც უცხოვრია მათი წესწყობილების ქვეშ, ყველასთვის, ვისაც აქვს სინდისი, გამოსთქვას თავისი აზრი მიუდგომლად, სრულის სინამდვილით. ბოლშევიკური ფართიფურთობა ვერავის მოატყუილებს—მთელი ეს მათი «დამოუკიდებელი» რესპუბლიკები, ავტონომიები, ფედერაციები და კავშირები ყოველგვარ რეალურ შინაარსს მოკლებული სიტყვებია, მათი ყვირილი ეროვნული საკითხის გადაჭრის და ერთა მორიგების შესახებ საბჭოთა სამეცნიერო ცალიერი ლაყბობაა და მათი განცხადება კერძოდ საქართველოსთვის, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა საუკეთესოა ეროვნული არსებობისა და კულტურის განსავითარებლად, ისეთი სიცრუუ და ცინიზმია, რომელსაც არ მიმართავდა ხოლმე რუსის იმპერატორების მთავრობაც-კი.

მართალია, ბოლშევიკებს არ უყვართ აზდილად გალაშქრება ეროვნების წინამდებარება, მაგრამ მათი ოფიციალური გამოსვლები პარტიულ კრებებზე საკმაო მასალას იძლევიან, თუ როგორ სტულთ ეროვნება და როგორის სიხარულით ელოდებიან იმ დროს, როცა ერთიან გაითქვითებიან და მოისპობიან ერები და ერთსახოვანი (რუსული?) «პროლეტარიატის» დიქტატურა დაეპატრინება ყველაფერს. კარგად გვახსოვს ლენინის სიტყვები, რომ «სოციალიზმის (რასაკვირველია ლენინის სოციალიზმის!) მიზანია არა თუ დაახლოვოს ერები, არამედ შეადულოს, გათქვითოს ისინიო»; გვახსოვს მისი მარჯვენა ხელის სტალინის განცხადება 1924 წ. ყრილობაზე: «მე მესმის ჩევინი პოლიტიკა ეროვნულ საკითხში როგორც პოლიტიკა დათმობათა ნაციონალებისა და ნაციონალურ ცრუმორწმუნოებისათვის»; გვახსოვს სხვა ლიდერების მრავალჯერ ნათქვამი, რომ ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკა, საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება «მოკავშირე რესპუბლიკებთან» არის მარტოოდენ სტრატეგიული და დიპლომატიური ხერხით; არ გვავიწყდება ფ. მახარაძეც, რომელმაც სთქვა, რომ ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო განაგებს

ყველაფერს «კავშირში» და «დამოუკიდებელ» რესპუბლიკების თვითარესებობასა და დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი მეტისმეტად გაუგებარია.

ყველაფერს რომ ამას თავი გავანებოთ და საქმეს ახლოდან შევხედოთ, ქართველ კომუნისტების უკანასკნელი პარტიული კრებებიც სრულებით ნათლად ამეღავნებენ ბოლშევიკურ სულის ნამდვილ კვეთებას. გასული წლის გაზაფხულზე ამიერ კავკასიის კომისართა კრებაზე მ. ორახელაშვილმა ძლიერ იუცხვა, როცა ქართველმა პროფესორმა ქართული კულტურა ახსენა—ჩვენ კოსმოპოლიტები ვართ, არა გვწამს არც ქართველი მეცნიერები, არც ქართველი მწერლებიც. ამავე ორახელაშვილმა ამიერ კავკასიის კომუნისტების ყრილობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა. რომელიც დაიწყო ამონაწერით ენგელსის თხზულებიდან: მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატის ინტერესებს ყველაზე უფრო შეეფერება ერთიანი განუყოფელი, უნიტარული რესპუბლიკა, მიუხედავად ამისა ხანდახან იქმნება ისეთი პირობები, როდესაც ფედერატიული გაერთიანება, ფედერატიული რესპუბლიკა აუცილებელია როგორც გარდამავალი ეტაპი სრულ მთლიანობაზე გადასასვლელად. ამიერ-კავკასიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და ეხლანდელი პარტიული მდივანი ენგელსის ციტატას ამაგრებს ლენინის ავტორიტეტით: ჩვენ ვიცით (ამბობს), რომ ლენინმა, რომელიც ენგელსივით უნიტარულ რესპუბლიკას სთვლიდა ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად პროლეტარულ ინტერესებისათვის, პროლეტარულ რევოლუციისათვის,—რუსეთში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ წამოაყენა საკითხი რუსეთის ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობის შესახებ. ა. კავკასიის კომუნისტების მდივანი იმასაც აღნიშნავს, რომ ა. კავკასიის ფედერაციის იდეა ეკუთვნის ლენინს და საერთოდ ეს ფედერაცია არის ღვიძლი შეილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ორგანის—პოლიტბიუროსილ.

მ. ორახელაშვილი ა. კავკასიის ფედერაციის ერთი დამაარსებელთაგანია და ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს მის ცნობებს. ეს ცნობები აშკარად დალადებენ ერთხელ კიდევ, რომ ბოლშევიკებისთვის «დამოუკიდებელი» რესპუბლიკები და მათი კავშირები დროებითი დიპლომატიური იარაღია. სახელმწიფოებრივი ერთობა და მთლიანობა საუკეთესო ფორმა სახელმწიფოსი, ამისკენ უნდა იქნეს მიქცეული მთელი ყურადღება, ხლოო თუ გარემოება, ე. ი. ერო-

ვნული ცრუმორწმუნოებისთვის ანგარიშის გაწევა მოითხოვს რამდენსამე ხანს ფედერაციის დაწესებას, ამას უნდა ვუყურებდეთ მხოლოდ როგორც გარდამავალ საშუალებასო. ცხადია, ბოლშევიკური მცნებით, დროებითი მოვლენაა, როგორც კავკასის ფედერაცია ისე მთელი საბჭოთა კაშირი და აუცილებლად უნდა მოველოდეთ ყველა ფედერაციის მოსპობას—იქნება მარტოოდენ ერთად-ერთი უნიტარული რესპუბლიკა მთელ ბოლშევიკურ სამფლობელოში. ძირს ავტონომია, ძირს ეროვნული რესპუბლიკა, ძირს ფედერაცია! აი ჭეშმარიტი მისწრაფება ბოლშევიკურ მოლვაწეობისა. და აქ საგულისხმოა კიდევ ის, რომ მთელი ეს გაუნიტარება, გაერთება «დამოუკიდებელ» რესპუბლიკების მოხდება არა ამ რესპუბლიკების დაფგენილებით, არამედ იმ პოლიტიკუროს კარნაზით, რომელმაც გუშინ «დამოუკიდებელი» რესპუბლიკები და ფედერაციები დაადგინა.

ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა გარკვევით და გადაჭრით მიმართულია ეროვნულ რესპუბლიკების მოსპობისაკენ. ეს სავსებით შეეფერება მათ მსოფლმხედველობას და ისინი ამ შემთხვევაში ლოდიკურად იქცევიან. ეროვნული სახელმწიფოს ერთი უმთავრეს დანიშნულებათაგანი ისაა, რომ ყოველნაირად იცავს ერს, რომლის წარმომადგენელია ის, ხელს უწყობს მის კულტურას, შემოქმედებას, სრულს განვითარებას, მფარველობს თავის ერს საერთაშორისო ბრძოლაში სხვა ერების კულტურულ, კონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრის წინააშლება. ეროვნული სახელმწიფოს არსებობის საფუძველია ეროვნების უაღრესობა, როგორც დაწინაურების უდიდესი ფაქტორის. ეროვნული თვითარებობა და თვითმოქმედება—აი რას ეყმარება ეროვნული სახელმწიფო. ხოლო ვისაც არა სწამს ეროვნება, მიაჩნია იგი ძველი დახავსებული წყობილების ნაშთად, ცრუმორწმუნოებად, საზარალოდ და ხელის შემშლელად, მისთვის რასაკვირველია ეროვნული სახელმწიფო ისე. როგორც თვითონ ერის არსებობაც, სულ მეტი ბარგია და რაც მალე გაქრება, მით უკეთესია. ეს ადვილი საქმეებაა, ფიქრობენ ბოლშევიკები. ყოფილა ერთი ახირებული ქართველი კომუნისტი ვინძე რ. კალაძე, რომელსაც დაუწერია თურმე, რომ ერი, ეროვნება მარადიული მოვლენაა, რომ ეროვნება არის ის ძალა, რომლის მეოქებით კოლექტივი-საზოგადოება თავის სახეს ინარჩუნებს და არ კვდება. ამ კალაძეს, რომელიც ოპოზიციონერი ყოფილა, გამწარებით აუმხედრდა საქართველოს კომუნისტული პარტიის ყრილობა XI—15 სტო-

მაჩქე: როგორ გაბედე ამის თქმა, რომ ეროვნების მოსპობა შეუძლებელია! ბოლშევიკების შეხედულობით, ერთ არა თუ მოისპობა და მოისპობა მალე, არამედ მოსპობილია უკვე, არ არსებობს დღესაც. როცა იმავს სხდომაზე ჭიათურელმა მეგრელიშვილმა განაცხადა ოპოზიციონერებზე, რომ ისინი ეროვნული ლოზუნგებით გამოდიან: «ჩვენ ვკიყვარს ქართველი ერის», კრების წევრებმა მიაძახეს: მაგის მთქმელები ხომ გამოადეთ, მაგისთანებს რა ადგილი აქვთ პროლეტარულ პარტიაში...

ამის მსგავსი მაგალითი ბევრი შეგვეძლო გაგვეხსენებია ქართველ თუ სხვა ბოლშევიკების მოღვაწეობიდან, მაგრამ დავკმაყოფილდეთ უკანასკნელ ამბებით. ეროვნება ჩამორჩენილობაა, ეროვნება მოსასპობია, ერთის სიყვარული სირცხვილია, აი რა აზრებით არიან გამსჭვალულნი ბოლშევიკები და თავისთავად ცხადია, რომ უნდა შეებრძოლონ ეროვნულ სახელმწიფოებს. რასაც ორახელაშვილები მოითხოვენ, იმას მეგრელიშვილები ასაბუთებენ. ერთი თუ ყელში ხელის წაჭირებით მიათრევენ უბედურ საქართველოს ლენინის ნაბრძანებ ფედერაციაში, რათა მალე ფედერატიულ სახელმწიფოდან უნიტარულში გადავიდნენ, მეორენი მისძახიან: დააჩქარეთ, დააჩქარეთ ჩვენი განბაზვა ყოველგვარ ეროვნულ ცრუმორწმუნობათაგანო—ე. ი. მარტივად რომ ვსოდათ: არ გვინდა ვიყოთ ქართველებიო.

ასეთია ყოველდღიური პრაქტიკა ბოლშევიკებისა ეროვნულ საკითხში. მათი მოღვაწეობა აშკარა ანტიეროვნულია. ამის არდანახვა და არ გაგება მხოლოდ ბრმას და უგნურს შეუძლია, ამის მიფუჩებებას და ართქმას მხოლოდ სინდისჩე ხელალებული თუ მოინდობებს. ბოლშევიკების გალაშქრება ეროვნების წინაამდეგ სრულიად გასაგებია და ბუნებრივი. გაუგებარი და გასაკვირი იქნებოდა, რომ ისინი ეროვნული არსებობის დამცველებად გამოდიოდნენ. ბოლშევიზმი დაუძინებელი მტერი არის პიროვნების, თვითმოქმედების, თავისებურობის; მისთვის ცხოვრება მექანიკური მოვლენაა, ბრმა მატერიალური ძალების წარმოშობილი, ის ახობს იმას, რაც არ ეგუება ნორმას და წესს, მას სძულს სხვადასხვა გვარობა და მრავალფეროვანება; ბოლშევიზმმა ძირს დასცა აღამიანური ღირსება, ზნეობა და მოუსპო ადამიანს ყოველი არამატერიალური მისწრაფება. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ბოლშევიკები უკიდურესი ცენტრალისტები არიან როგორც პარტიულ ისე სახელმწიფოებრივ სფეროში, რომლებიც ფი-

ქრობენ, რომ მხოლოდ ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფი უნდა განაეცებდეს ქვეყნის საქმეს, მაშინ სრულიად ნათელი ხდება ბოლშევიკების ანტიეროვნულება. ერი, ეროვნება აუცილებლად ჰეროლისხმობს თავისუფლებას პიროვნებისას, მის თვითმოქმედებას და ვინც ჰეროლის პიროვნებას, ვისაც ბოროტებად მიაჩნია თავისუფლება, იმან აუცილებლად უნდა მოჰკლას ერიც.

ეს ქართველმა ხალხმა არასოდეს უნდა დაივიწყოს და დიდი სიფხიზლე და სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს ბოლშევიკების განზრახვებთან საბრძოლველად...

ხიმ. ლეონიძე.

### ბოლმევიკების წინააშლება.

ინგლისის მთავრობამ რომ რუსეთთან ყოველი დამოკიდებულება შესწყვიტა, ჩვენ ვამბობით, რომ ეს მოვლენა კერძოობითი არაა, რომ საერთოდ სამჭოთა სამეფოს ურთიერთობა დანარჩენ ქვეყნიერებასთან თან და თან მწვავდება და აუცილებელი ხდება გადაჭრილი შეტაკება ბოლშევიზმსა და ევრაპეიზმს შორის. იმასაც აღნიშნავდით, რომ ბოლშევიზმი წესები მიუღებელია არა თუ მარტო ბურქუაზიულ მთავრობებისათვის, არამედ მუშათა მოძრაობისათვის, ყოველ განმათავისუფლებულ მუშაობისათვის. გასული წლის უკანასკნელი თვეების ამბებმა უფრო გამოაშკარავეს და ნათელ-ჰყვეს სიმართლე ჩვენი დებულებისა.

ყველას კარგად გვახსოვს, რა იმედებს ამყარებდა კომინტერნი ჩინეთის რევოლიუციონერებზე, რომელთაც უნდა გამოეწვიათ ევროპის კრიზისი და გაძლიერება რუსეთის, და როგორის დაუინებით ამტკიცებდა, რომ ინგლისის მუშები, განსაკუთრებით მემაღაროენი ბოლშევიკების ერთგული მეგობრები არიან და დღეს თუ ხვალ დაიწყებენ მსოფლიო სამოქალაქო ომს და ლონდონის პარლამენტზე ააფრიალებენ საბჭოთა დროშას. იშვიათად თუ ვინმე მოტყვილებულა ისე მწარედ, როგორც ეს მოუვიდათ კომუნისტებს. მთელი მათი მუშაობა ჩინელ ნაციონალისტებს შორის კატასტროფიულად დაიმსხვრა; გომინდანმა, რომელზედაც მოსკოვმა მრავალი მილიონი დახარჯა და რომელსაც ველურად აქეზებდა ევროპიელების წინააღმდეგ, ხმლით შეუტია თვითონ ბოლ-

შევიკებს, მასიურად ამოსწყვიტა რუსის კომუნისტები და შე-  
თი მიმდევარი ჩინელები, მოსკოვის საკონსულოები დახურა  
და შესწყვიტა ყოველგვარი დამკიდებულობა რუსეთთან.  
ჩინელ რევოლუციონერების მისწრაფება მეტად მართალი და  
კვთილშობილურია—სწადიათ ჩინეთის გაერთიანება და გან-  
თავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან. მათ მალე დაინა-  
ხეს, რომ თუ რუსები ეხმარებოდენ, მხოლოდ საკუთარი ინ-  
ტერესებისათვის და ცდილობდენ ევროპიელების ნაცვლად  
თვითონ გაბატონებულიყვნენ ჩინეთში, ჩინეთი დაემორჩილე-  
ბიათ მოსკოვისათვის. ჩინელები მოთმინებიდან გამოიყეანა  
ბოლშევიკების ვერაგობამ, უპირობამ, სიმხეცემ, და გადასწ-  
ყვიტეს, რომ ჩინელ ხალხის ყველაზე საშინელი მტერი ბოლ-  
შევიკები არიან.

ამას არ ჩამოუვარდება კომუნისტების მარცხი ინგლი-  
სელ მუშებს შორის. ინგლისელი მუშები, მათი ტრედუნიო-  
ნები თავიდანვე თანაგრძნობით უკერძოდენ ბოლშევიკურ  
რუსეთს, მოწადინებულნი იყვნენ მასთან დაახლოვებას. უკვე-  
ლია მათი გავლენით აიხსნება, რომ მაკრონალდის მთავრო-  
ბამ ისე იოლად და სრულიად უპირობოთ იცნო ბოლშევი-  
კური წყობილება და საქართველოს საკითხიც სავსებით მიჩ-  
რდილა, წინააღმდეგ სოციალისტურ ინტერნაციონალის დად-  
გენილებათა, რომლებიც მისთვის სავალდებულო უნდა ყო-  
ფილიყო. ხოლო არავინ უნდა იფიქროს, რომ თუ ინგლისელი  
მუშები ასე იქცეოდნენ, იმიტომ, რომ მოსწონდათ ბოლშევი-  
კების მართველობა. არა, მათი სურვილი რუსეთთან კეთილგან-  
წყობილებისა გამოწვეული იყო უმთავრესად სარგებლობის  
ინტერესით—ფიქრობდენ, რომ რუსეთის ბაზარი ხელს შეუწ-  
ყობდა ინგლისის წარმოების ზრდას და მით შემცირდებოდა  
უმუშევრობა. მაგრამ რუსეთ ინგლისის ეკონომიური ურთი-  
ერთობის აღდგენამ ინგლისის მრეწველობას და არც მუშებს  
არაფერი მოუტანა. სამაგიეროთ რუს ბოლშევიკებთან დაახ-  
ლოვებამ ინგლისელ მუშებს ბევრი რამ ასწავლა და უჩვე-  
ნა. ბოლშევიკებმა მოინდომეს ინგლისელ მუშების გამოყე-  
ნება თავის მიზნებისთვის, ჩაერიცხნენ მათ შინაურ საქმეებ-  
ში, დაუწყეს ჭკუის სწავლება, დასცინქს მათ კულტურას,  
ტრადიციას, წესებს, ხანგრძლივი შრომითა და ბრძოლით მო-  
პოვებულთ, და მოინდომეს, რომ ის ინგლისურ-რუსული კო-  
მიტეტი, რომელიც უნდა დახმარებოდა ორი ქვეყნის დაახლო-  
ვებას და მეგობრობას.—ყოფილიყო იარაღი ბოლშევიკური  
პროპაგანდისა და მას უნდა დაემორჩილებია ინგლისის მთე-

ლი მუშათა მოძრაობა მოსკოვისათვის. ინგლისელმა მუშებმა რუსები გვერდში ამოისვეს, ხოლო რუსებმა, როგორც მათი ადათია, ფეხები სუფრაზე შეაწყვეს... ეს რასაკვირველია ინგლისელ მუშებს არ მოეწონათ და უკვე იმდენად აუცრუვდათ გული ბოლშევიკებზე, რომ როცა ინგლისის მთავრობამ უკანასკნელი გამორეკა, არამც თუ პროტესტი არ გამოაცხადეს ამის გამო, პირიქით ისეთი ნაბიჯები გადადგეს, რომ მთავრობის მოქმედებას ზურგი გაუმაგრეს და გადაჭრით გაიმიჯნენ ბოლშევიკებისაგან. აი ამის ფაქტები:

ივნისში რუსებმა მოითხოვეს, რომ ინგლის-რუსულ კომიტეტს დემონსტრაციები მოეწყო მთელ ინგლისში რუსეთის სასარგებლოთ. რაიც ერთხმად უარყოფილ იქნა ინგლისელების მიერ. სამაგიეროთ ტრედუნიონების მთავარ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ საშინელი პროტესტი გამოუცხადა რუსეთს იმ მასიურ დახვრეტების გამო, რომელიც მოჰყვა ელჩის ვოიკოვის მოკვლას. ივლისში გაიმართა ინგლისის მემაღაროეთა წლიური კრება და მოკომუნისტე წევრებმა მოისურვეს, რომ დაარსებულიყო რუს და ინგლისელ მემაღაროეთა კავშირი. კრებამ არ სცნო ამის საჭიროება და მომხსენებელის სმიტის პირით გააფრთხილა კომუნისტები: ნუ ანგრევთ მუშათა მოძრაობას, ნუ აღარებთ ინგლისს რუსეთს, სადაც მუშები არაფრით განსხვავდებიან მონებისაგან. სექტემბრის დამდეგს შესდგა ტრედუნიონების კონფერენცია, რომელმაც სხვათა შორის გააჩინა აგრეტოდებული «მეუმცირესეთა» საკითხი. «მეუმცირესეთა მოძრაობა» შექმნეს ბოლშევიკებმა ტრედუნიონებში კომუნისტური მეთოდების შესატანად. კონფერენციამ დაპირი ეს მოძრაობა და დაავალა მთავარ საბჭოს, არ იცნოს ის ორგანიზაციები, რომლებიც ემხრობიან «მეუმცირესეთა» მიმართულებას. ესევ კონფერენციამ გაილაშქრა რუსულ-ინგლისურ კომიტეტის წინამდეგ და დაადგინა მისი სრული გაუქმება. ტრედუნიონების ლიდერებმა ასე დაასაბუთეს გადაწყვეტილება: ბრიტანეთის მუშებს არ ესაჭიროებათ რუსების რჩევა-დარიგება; ჩვენ გვაქვს საკუთარი მეთოდი და საუკუნოებით შეძენილი გამოცთილება; დიქტატურა ეზიზლებათ იმათ, ვინც დემოკრატიის საშუალებით მოიპოვეს თავისი უფლებანიო. ინგლისის მუშათა პარტიის აქტომბრის კრებაზედაც დაისვა საკითხი კომუნისტებთან დაკავშირებისა, მაგრამ აქაც გამოტანილ იქნა საწინაამდევო დადგენილება.

ასეთია დღეს ინგლისელ მუშათა მოძრაობის განწყობილება

ბოლშევიკებთან. კიდევ უფრო გარკვეულ და გაბედულ გზას ადგანან სხვა ქვეყნის მუშები. შარშან ზაფხულში მოწვეული იყო პროფესიანალურ კავშირების საერთაშორისო გაერთიანების (ამსტერდამის ინტერნაციონალი) კრება, რომელზედაც გერმანიის, საფრანგეთის, პოლანდიის, ბელგიის და სხ. წარმომადგენლებმა ცხარედ დაპგმეს ინგლისელ დელეგაციების დათმობითი და მორიგებითი პოლიტიკა ბოლშევიკებთან და გააშავეს თავმჯდომარის ადგილზე პერსელი ბოლშევიკოფილური მიღრეკილებისთვის. ხოლო ამერიკის შრომის ფედერაციამ (პროფეს. კავშირებმა) გამოაცხადა, რომ ის არ სცნობს მოსკოვს და ჩიხერინის ფილოსოფიას არაფერი აქვს საერთო მის მამათ-მთავრის გომპერსის მოძღვრებასთან. ბოლშევიკებს ძალიან უნდოდათ თავის საიუბილეო დღესასწაულებით თვალის აბმა ევროპის მუშებისათვის და ყველა მიიპატიუეს დიდის ამბით, მაგრამ არც ერთმა სერიოზულმა ორგანიზაციამ არ მიიღო მოძალადეთა გასისხლიანებული ხელით მოწოდებული მიპატიუება.


ბოლშევიკები ჰყარგავენ ნდობას და გარიყულნი რჩებიან მსოფლიოს მუშათა მოძრაობისაგან და ეს ხდება მით უფრო მეტის სისწრაფით, რაც უფრო უახლოვდებიან და ეცნობიან ერთმანეთს ბოლშევიკები და ევროპის მუშები. დასავლეთის ყველა სახელმწიფოში და ამერიკაშიაც არსებობენ კომუნისტური პარტიები, მაგრამ მათი არსებობა სავსებით დამოკიდებულია მოსკოვის სუბსიდიებზე და ყველა შეპყრობილია შინაური ბრძოლით და განხეთქილებით. ცხადია მათ არ ძალუდთ ბოლშევიკური რუსეთის დაცვა და გადარჩენა იმ სრული იზოლიაციისაგან, რომელიც დღითი დღე უახლოვდება და და ძალუნად ემუქრება მას. და შეიძლება მარტო ერთი ფაშისტური იტალია იყოს დაინტერესებული, რომ არ დაიქცეს წითელი მოსკოვი და მით არ შეირყეს შავი რომი, რადგან ბოლშევიზმი და ფაშიზმი ხომ ლეილი ძმები არიან და ერთმანეთს ზურგი უნდა გაუმავრონ.

დანარჩენი კაცობრიობა კი—არა მარტო მუშათა წრეები—ისე უყურებს ბოლშევიკების არსებობას, როგორც უდიდეს ბოროტებას და საფრთხეს და თუ რამდენიმე წლის წინად სახელმწიფონი თითქოს ერთმანეთს ეცილებოდენ რუსეთიან დაახლოვების საქმეში, დღეს ყველას წინიშე უფრო და უფრო გარკვევით სდგება საკითხი გაერთიანებისა ბოლშევიკებთან საბრძოლველათ. ევროპის სახელმწიფოების მართველ წრეებში იღვიძებს და მტკიცდება იმის შევნება, რომ ბოლშევიზ-

მი ემუქრება მთელს ცივილიზაციას და დღევანდელი მდგრადების დატოვება შეუწყნარებელია. არასოდეს არ ყოფილა ევროპაში ასეთი მტრული განწყობილება ბოლშევიკებისადმი, როგორც ახლაა. ამას ყველაზე მეტად ამჩნევთ საშუალო კლასებში, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობენ ამა თუ იმ სულიერი ატმოსფერის შექმნაში და რომელთაც ამოძრავებს სიძულვილი ბალშევიკური ანტიდემოკრატიული წყობილებისა, მათი ველურების და ძალმომრეობის და შიში ბოლშევიკების მეთოდების გადმოტანისა ევროპის ნიადაგზე. მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი გრძნობა იმ ბრძოლებისა, რომელნიც გამოიარა ევროპამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში წინააღმდეგ სხვა და სხვა ჯურის მოძალადეებისა და მხაგვრელებისა. მათვის თავისუფლება უძვირფასესი საგანძურია, რომლის წართმევას ვერასოდეს შეურიგდებიან. ამასთან ერთად ყველას თვალშინ უდგია ცხოვლად სიმწვავე დიდი ომისა, და როცა ხედავენ, რომ ბოლშევიკები ყოველნაირათ ცდილობენ საერთაშორისო გართულების შექმნას, სახელმწიფოების ერთმანეთზე გადაკიდებას, სამოქალაქო ომის გახადებას— ეს ყველაფერი იწვევს არა მხოლოდ პროტესტს, არამედ ჰქმნის რეალური ზომების მიღების საჭიროებას. ამ საერთო მიმართულებას მარჯვნივ აკრავს მსხვილი ბურჟუაზია, ბოლშევიკებში ის ხედავს გამხეცებულს მტერს, რომლის დასამარცხებლად არავითარ საშუალებას არ დაერიდება; ხოლო მარცხნივ არიან სოციალისტური პარტიები, რომელნიც საზოგადოთ მარტო იდეიურ იარაღს მიმირთავენ ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ევროპის სახელმწიფოების ახლანდელ პოლიტიკას ხელმძღვანელობენ საშუალო კლასები და მათი ხაზი— ეს არაა უკიდურესი საშუალებების მომხრე (ყოველ შემთხვევაში დღეს), მაგრამ არ იცავს არც სრულს უაქტივობას და მოითხოვს, რომ დაუყონებლივ შეიქმნას სახელმწიფოების საერთო ფრონტი, ყველამ უნდა შესწყვიტოს რუსეთთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, რუსეთი სრულიად უნდა გაირიყოს.

ეს ახალი ეტაპია. მაგრამ საეჭვოა, რომ მარტო გარიყვის პოლიტიკამ დაამხოს ბოლშევიკური რუსეთი...

ს. ფირცხალავა.



## ათი წლის შემდგა—შიგნით და გარეთ.

ბოლშევიკურ პარტიაში დიდი ხნის დაწყებულმა ბრძოლამ, თავის განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწია, აქამდე ბრძოლა ფარულად წარმოებდა, თითონ პარტიის შიგნით, საკონფერენციო დარბაზს და პარტიულ ყრილობას არ სცილდებოდა, ბრძოლის მოედანი ვიწრო იყო, მებრძოლთ გასაქანი არ ქონდათ, ერთმანეთს ფეხებში ებანდებოდენ. პარტიის დრამის მოწმენიც მხოლოთ შინაურები იყვნენ.

ლრმა ჭრილობა, რომელიც კომუნისტურ დიქტატურის სალტამ საკუთარ სხეულს დიდი ხანია მიაყენა, რომელიც სხვის დასანახავად წითლად გადაპუდრეს, რომელიც ბოლშევიკურ «სიოსტატიო» რამდენიმე წლის განმავლობაში, სქელი მაგრამ გამსჭვირვალე კანით თითქოს დამალეს, პარტიის ბატონობის ათი წლის თავზე, ფართედ და სამუდამოთ გაიხსნა. ბრძოლის მოედანი გაფართოვდა, შინაური უთანხმოების ტალღამ «ფოლადური» დისციპლინის კედელი გადმოხეთქა, პარტიული საზღვრები გადალახა. კომუნისტური პარტიის დარღვევა ფაქტი გახდა.

პარტიის გუშინდელი მეთაურნი, პარტიიდან გააძევეს, გუშინდელი დიქტატორები და რევოლიუციის «ეგნიოსები» უბრალო მომაკვდავად და «მოლაყბედ» იქცენ, გუშინდელი მტუქსავები დღეს დატუქსეს. ჯერ იყო და «აგარმყოფ» ამხანაგებს «თავს ევლებოდენ», აგარაკებზე «მოსარჩენად და დასასვენებლად» გზავნიდენ. ზოგიერთებს კიდევ «გადასახალისებლად» სხვა ორგანიზაციებში მუშაობის წინადადებას აძლევდენ, ახლა არის და სამუდამო «სხეულთ» ციხეებით უმანსპინძლდებიან. ის, ვინც გუშინ წინააღმდეგი იყო თავისუფალ სიტყვის და რწმენის, ის, ვინც გუშინ სხვის აზრს და რწმენას ფეხევეშ თელავდა და იდეურ მოწინააღმდეგეს ტყვიით უმასპინძლდებიდა, ის, ვინც გუშინ მთავარსარდალი იყო მისივე შექმნილ წითელი არმიის, რომელმაც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი სისხლში ჩაღრჩო, დღეს მისივე ამხანაგები მას ჩაღრჩობით ემუქრებიან. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელთა ერთმა დიდმა უმრავლესობამ, დღეს უკვე მოიმკო ის, რაც მან თანამებრძოლებთან ერთად ამ ათი წლის წინათ მზრუნველობით დათესა, მეორეთათვისაც «მკის» დრო მოახლოვებულია.

ბოლშევიკური დიქტატურის ათი წლის თავის «აღფრთოვანებული» წეიმი, ორატორთა აღზნებული სიტყვათა დასას-



რული—«გაუმარჯოს ლენინის პარტიის ცენტრალურ კომი-  
ტეტს» ერთი მხრივ სტვენით და «გაუმარჯოს ოპოზიციას,—  
გაუმარჯოს ტროცკის» ყიუინით იკაზმებოდა, მეორე მხრივ  
«გაუმარჯოს ლენინის პარტიას—გაუმარჯოს სტალინს—ძირს  
ოპოზიცია—ძირს მოღალატენი»-ო. სახეიმო «დეკორაციებ-  
საც» ოპოზიციონერთა სურათები და კარიკატურები «კომუ-  
ნისტური პარტია ციხეში»—ამშვენებდა. ათი წლის თავზე  
ჩხრეკა და დაპატიმრება, მაგრამ ახლა უკვე სხვა «კონტრევო-  
ლუციონერებთან» ერთად თავიანთ ამხანაგ კონტრევოლუცი-  
ონერებისაც.

ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა  
დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა, კომუნისტური პარტიის  
გაკოტრება, სოციალიზმის განხორციელების შეუძლებლობა  
დღეს, ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. მათ  
აღიარეს, რომ ჰინდდენბურგის გერმანიაში უფროა თავისუფ-  
ლება, ვიდრე საბჭოთა რუსეთში («პრავდა» 4 ნოემ. 27 წ.), მათ  
აღიარეს უფარგისობა დღევანდელი ბრძოლის მეთოდის და  
მუშაობის, მათ აღიარეს მრავალი შეცდომა, აღიარეს დიქტა-  
ტურის მათრახის სიმწვავე და გაბატონებულ ნაწილს, ბრალ-  
დებათა მთელი რიგით, წარუდგენ. ამით დაკარგეს მათ ლეგა-  
ლობა და ძალაუნებურად დაუბრუნდენ ძევლ, მეფის დროის  
გავლილ გზას, ძევლ მათთვის ნაცნობ ფსკერქვეშ მუშაობას,  
სადაც, ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ, ყველა სოციალი-  
სტურ პარტიას თავი შეფარებული აქვს. ამ ორ მოძმე რეუი-  
მის დროს არალეგალური მუშაობის სისუსხის შეფასება და  
ერთმანეთთან შედარება, ამ ახალ კომუნისტურ ჯგუფისთვის  
მიგვინდია.

ბოლშევიკური ბატონობის ტახტი საბედისწეროთ შეირ-  
ყა, «ძლევამოსილმა» პარტიამ გზა ფრაქციებს დაუთმო. ლეგა-  
ლური კომუნისტური ჯგუფის პრესა მაინც მთლიან ლენინურ  
პარტიაზე ისტერიკულათ გაჩხავის. საინტერესო ფაქტია,—  
რაც პარტიამ გახრწნა დაიწყო, იშვიათად შეხვდებით პრესა-  
ში «კომპარტიაზე» ლაპარაკს. პარტიის «ლენინის» პარტიაზე  
გადანათვლა «ეჭვებს» ბადებს, ბ-ნო ლენინელებო, ნუ გეშინი-  
ათ ფრჩხილების გახსნის,—«სტალინ-ბუხარინის», «ტროცკი-  
ზინოვიევის» და ვინ იცის კიდევ ვისი ფრაქცია...

კომუნისტური პარტია მელოგინეა. პირველი მშობია-  
რობა დასრულდა. მშობიარობის მძიმე შედეგები გარდაუვა-  
ლია,—ბებია-ქალთა ნუგეში, ხომ ჩვეულებრივი ამბავია.

დიქტატურა განწირულია,—დეკემბრის პირველ-რიცხვებ-



ში მოწვეული პარტიული ყრილობა, საქირურგო ოპერაციების, პარტიულ ორგანიზმების საექსპერიმენტო დაკვირვებების ყრილობად გადაიქცა.

ექიმბაშთა რეცეპტები, მანიფესტების სახით, საქმეს ვერ უშველის. მუშათა კლასის თვალის ახვევა და მოტყუილება შვიდი საათის სამუშაო დღის «ახლო» მომავალში შემოლებით, დიქტატურის არსებობის მწარე სინამდვილეს ვერ სცვლის. დაპირებები, სიტყვების კორიანტელი, ქება და ბაქა-ბუქი, ასეთი «შელოცვები» მედიცინის ძალიან პრიმიტიული საშუალებაა, მაგრამ შეიძლება, მელოგინეს სხვა შინაური პირობები უწყობს ხელს, რომ ფეხზე ჯანსაღად წამოდგეს და შემდეგ მშობიარობას, მაგარი ხერხემლით დაუხვდეს. მოუსმინოთ თითონ მელოგინეთა წუწუნს: ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდრე კალინინი, შვიდი საათის სამუშაო დღის შემოლების შესახებ ამბობს:

«მხოლოდ მაშინ, თუ ეს (ე. ი. 7 საათის სამუშაო დღე) არ შეაფერებს ჩვენ წარმოებას, მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი საერთო სამეურნეო მდგომარეობა არ გაუარესდა,—შევა ეს წინადაღება (?) ძალაში»-ო («იზვესტია» 21 ოქტ. 27 წ.). და თუ აქვე «ეკონომ. უიზნი»-ს 26 ოქტ. აზრს მოვიყვანო სამეურნეო მდგომარეობის მომავალ პერსპექტივების შესახებ, მაშინ ბრძებისათვისაც კი ნათელი იქნება, რომ ეს «შვიდი საათიც», ბოლშევიკების ჩვეულებრივი მანევრია და ცარიელი დაპირება, რომ ეს საპნის ჭრელი ბურთიც დაპირებებით გაულენთილ ატმოსფერაში გაპრერება, რომ ესეც ერთი აგურთაგანია ბოლშევიკურ დაპირებების კოშკის. რის «მახარობელია» ზემო დასახელებული გახსეთი? იმისა, რომ საერთო სამეურნეო მდგომარეობა შემდეგ წელში გაცილებით უფრო მძიმე (!) იქნება ვიდრე ეს დღეს არისო.

პროფ. კალინიკოვი «გოსპლან»-ის პრეზიდიუმში აცხადებს: «5 წლის შემდეგ მიაღწევს ჩვენი სამარქანო მრეწველობა იმდენს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების 80 პროცენტით დაკმაყოფილება შევძლოთ»-ო.

სახელმწიფო სესხის ხელის მოწერის შესახებ «გოსპლან»-ი შემდეგ ცნობას იძლევა «მხოლოდ 4 პროც. მთელი სესხის, არის გლეხების მიერ შემოტანილი»-ო (გლეხურ სახელმწიფოს ნდობა «მუშათა და გლეხთა» ხელისუფლებისადმიც ასეთი უნდა).

ჩერვონეცის «მაგარი» კურსის ზღაპრები ახლა ვიღას ჯერა. რა დირს თუ გინდ ის პატარა, მაგრამ ბოლშევიკურ სა-



ხელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიური წონის «სიმბიმის», მდა-დადებელი ფაქტი, რომ საზღვარ-გარეთ მყოფ მოსწავლე ახალ-გაზდობას, მხოლოთ განსაზღვრული მცირე თანხის უცხო ვალიურის მიღების ნებართვა აქვთ, ისეთი თანხის რომლითაც აქ ევროპაში მხოლოთ სულის შენარჩუნება შეიძლება.

ლენინის დაპირება რომ გავიხსენოთ, ათი წლის თავზე, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა ყოფილიყო მთელ საბჭოთა სივრცეზე. განათლების კომისრის მოხსენებით კი, ყოველ 1000-სში 555 კაცი წერა-კითხვის სრული უცოდინარია. ან და კიდევ «ბეჭოტა»-ს 23 ოქტ. აღსარება: «კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ჩვენ ბარბაროსები ვართ, გასაგებია ჩვენი მეცნიერების ხელმძღვანელთა აღფრთოვანება კაპიტალისტურ ქვეყნებისადმი. რაც აკადემიურ თავისუფლებას შეეხება, კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩნილი ვართ»-ო.

კომუნისტურ «აღმშენებლობას» ხომ ყველა კარგად ვიცნობთ, ამაზე არა ერთხელ დაწერილა და თქმულა. მდგომარეობა უიმედოა, გაპარტახებული ქარხნები, უმუშევრობა, ნაკლოვანება ყოველ დარგში. საერთო შიმშილი და გაჭირვება, მუშების უკმაყოფილება და ჯამაგირთა კუსნაბიჯური ზრდა (თუ კი საერთოთ ამ ზრდაზე ლაპარაკი ლირს) ფულის ფასის და ცემით გამოწვეულ სიძვირესთან შედარებით.

ეგებ შინაური პოლიტიკური მდგომარეობაა ბოლშევიკების სასარგებლო? კომუნისტების კოლონიალური მუხრუჭი სულს უხუთავს დაპყრობილ ერებს ეკონომიურად და კულტურულად. ბოლშევიკების მიერ ხელახლათ შეკონტიწებული რუსეთი უნდა დაინგრეს, ეს ისტორიული აუცილებლობაა, ამას ვერ შეაჩერებენ, თუ გნებავთ, ათასებიც მიღიუკვებების, რომ იარაღით ბოლშევიკებს გვერდში ამოუდგენ, ამას ვერ შეაჩერებს რუსეთის ყველა რეაქციონერთა და კომუნისტთა ბლოკი, მათი შეხმატკბილებული დიდი რუსეთის ჰიმნი, «ბოკე ცარია ხრანი»-ს «ინტერნაციონალი»-თ შეცვლა. ამას ბოლშევიკებიც გრძნობენ, ამას წინათ «კომუნისტი»-ს ფურცლებზე ბ-ნ ბუღუ მდივანს კიდეც წამოაყვედრეს მისი ძველი «შეცოტომა»: «რა აქვს საერთო საქართველოს და აზერბეიჯანს ზურნის მეტი»-ო. მართლაც და კომუნისტური ფედერაცია ასეთ ნიადაგზე არის აგებული.

ასეთია, ბატონობის ათი წლის თავზე მდგომარეობა შიგნით. უფრო უარესი გარეთაა შექმნილი. 1927 წელი ბოლშევიკების ბატონობის კვიმატი წელია. არც ერთ დიდ ქვეყანას და

ხელისუფლებას ერთი წლის განმავლობაში იმდენი დაომობა და დამარცხება არ უწვნია, როგორც ეს რუსეთმა და მისმა ხელისუფლებამ იგემა. მეტსაც ვიტყვით, არც ერთ პაწაწკინტელა ქვეყანას, სხვა ქვეყნების წინაშე იმდენი არ უხდებია, არც ერთი ქვეყანა იმდენათ დამოკიდებული არ არის სხვა ქვეყნებზე, როგორც რუსეთი.

ჩამოვთვალოთ მოკლეთ ამ წელში რუსეთის გარეშე მარცხი:

სავაჭრო კონფერენციაზე «სისხლის მსმელ» კაპიტალისტებთან ერთად «ცარცვის» გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

საგრძნობი ტერიტორიის ჩამოჭრის და რუმინიისადმი მიკუთხნების დადასტურება.

ინგლისის მიერ რუსეთის სავაჭრო და დიპლომატიური წარმომადგენლობის ლონდონიდან გარეკვა.

პოლონეთში სრულ უფლებისანი წარმომადგენლის მოკვლა.

ბოლშევკიურ საელჩოზე, თითქმის ყველგან თავდასხმები და ჩხრეკა.

სოციალისტური და არასოციალისტური მსოფლიო პრესის, რუსეთის წინააღმდეგ საერთო გალაშქრება.

ინგლისის მუშათა პროფესიონელებთან გაერთიანების «კეთილი» სურვილის დამარცხება.

მეფის ვალის ცნობა და გადახდის დაპირება.

საფრანგეთიდან რუსეთის ელჩის გაძევება.

მსოფლიო რევოლუციის ცეცხლის შენელება და ამ მხრივ მუშაობის შესამჩნევათ დამუხრუჭება. ჩინეთის რევოლუციის წაგება.

რუსეთის კომუნისტური პარტიის დაშლით გამოწვეული, საერთაშორისო კომუნისტური პარტიიების არევდარევა და ორ შეურიგებელ ბანაკად გაყოფის ფაქტი.

ბოლო და არა უკანასკნელი დამარცხება კი, გახლავთ, განიარაღების (კომუნისტური ტერმინოლოგიით «სალაყბო» იყო, ახალი «ლენინური» პარტიის ტერმინოლოგია, როგორც სჩანს სხვანაირი ყოფილა) კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება.

იმაზე ნურას ვიტყვით, რომ სესხის საქმე უიმედოა და ჯერ-ჯერობით დიოგენის ფარნითაც ვერ ნახულობენ მსესხებელს.

ათი წლის თავზე ბოლშევკებმა შიგნით და გარეთ ასეთ



«მილწევათა» თაიგული შეკრეს. ჩვენ არ ვიშინასწარმეტყველებთ, თუ როდის და ვის ხვდება წილად ამ «თაიგულის» მიტანა რუსეთის დიქტატურის საფლავზე. საქართველო,—და რუსეთის მიერ დაპყრობილი სხვა მრავალი ერი, ამ «სამელოვიარო» პროცესის დროს თავისუფლების და დამოუკიდებლობის მაგარ სალტს შეკრავს.

ს. მუშავრთველი.

## X მათი იუბილე. X

საიუბილეო დღესასწაულები კომუნისტურმა პარტიამ ჩატარა, თუმცა აქა-იქ ჩამწარდა ოპოზიციის წყალობით. ჩატარებული იქმნა ცენტრიდან ნაბრძანებ გეგმის მიხედვით, რომელიც მის მსვლელობას ითვალისწინებდა უკანასკნელ წვრილმანამდე, თუ სად რომელი «ბელადი» უნდა გამოჩენილიყო «მადლიერ» ხალხის წინაშე. ტფილისიც არ ჩამორჩა სხვებს. განმეორებული იქმნა ყოვლად მოსაწყენი ტრაფარეტი. ათასჯერ და კიდევ ერთხელ გაასვენეს ჩემბერლენი, რომლითაც მართლა გაართეს თავისი მოწინააღმდეგენი და თვით კი ამ სანახაობით კბილი მოიკვეთეს. სანახაობას სააგიტაციო ნომრები დაერთო. რუსეთის სივრცის ბატონ-პატრონის—ვ. კ.—წინაშე დამფრთხალმა და ენამლიქნელ მოხელეებმა ხელსაყრელ შემთხვევის გამო ოქტომბრის ათი წლის თავზე ხოტბა-დიდება შეასხეს მოსკოვს «კომუნისტის» ფურცლებზე. სხვათა შორის იმ ხანებში ეს გაზრდიც იხდიდა რომელლაც თავის იუბილეს და თან იკვეხდა თავის დიდ ტირაჟს და სხვა მშვენიერებას; რასაკვირველია, მას რატომ უნდა აღენიშნა, რომ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განადგურდა თავისუფალი პრესსა და ჩაახჩერეს ყოველგვარი თავისუფალი აზრი. ცნობილი ქართული ანდაზა ბედაურებსა და ვირების შესახებ სწორედ ამ გაზრდზე და მის რეაქციაზე ითქმის. «კომუნისტის» საიუბილეო ნომრიდან ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ არ იცით, რა იფიქროთ აქ მოთავსებულ სტატიების ავტორებზე: ისინი, მართლაც, ასე სულელები არიან, რომ სჯერათ თავიანთ ნაწერები, თუ ამას სჩადიან პირფერობით და შიშით მოსკოვის წინაშე!?

ცხოვრება სავსეა აუარებელ წინააღმდეგობით, მძიმე გადასაწყვეტ და გარდაუვალ საკითხებით,—და ასეთ დროს ერთ-



ფეროვანება ბოლშევიკურ პრესის და განსაკუთრებით ამ სა-  
ანგარიშთ-საიუბილეო ნომრის სტატიიებისა, რომლებიც «კა-  
ზიონურ» კეთილდღეობის მეტს არაფერს აღნიშნავენ.—სურ-  
ვილის წინააღმდეგ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს კომუნისტებს,  
წინეთ ისედაც დარიბთ საკუთარ აზრით და მსჯელობით, ამ  
ბოლო დროს უმძელოთ შეთხელებიათ ჭკუა.

მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ის ქართველი კომუნისტები  
რომლებსაც ყოველ შემთხვევაში მსჯელობის უნარი შერჩე-  
ნიათ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეათე წლის და  
საქართველოს ოკუპაციის მეშვიდე წლის თავზე,—არ ჩაფიქრ-  
დენ ამ ხელისუფლების გზებზე და მის ნამდვილ მიღწევებზე.  
ამას ამტკიცებს ქართულ კომპარტიიაში არსებული განხეთქი-  
ლება. ამას ვერ დამალავს უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე  
«ქუჩიდან» და «უპარტიოთა» სახელით მოწყობილი «მთლია-  
ნობის» დემონსტრაცია, «არ გვინდა აპოზიციის» ლოზუნგით.  
გულწრფელ კომუნისტებისათვის სიწმინდე კომუნისტურ  
პრინციპებისა,—რომლის სახელით მოქმედობს საბჭოთა ხე-  
ლისუფლება,—შეიძლალა და საეჭვო შეიქმნა ჯერ კიდევ ახალ  
ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების დღიდან. საბჭოთა მთა-  
ვრობამ სამხედრო კომუნიზმიდან ცუდათ დაფარულ კაპიტა-  
ლიზმისაკენ შემოტრიიალებით.—უარყო «საერთაშორისო რე-  
ვოლუციისაკენ» მიმართული პოლიტიკა და ეს უკანასკნელი  
დაუმორჩილა ნაციონალურ, რუსულ სახელმწიფოს ინტერე-  
სებს. რუსის სოციალისტები, რომლებიც აკრიტიკებენ ბოლ-  
შევიზმის საშინაო რეჟიმს,—ზოგიერთ შემთხვევაში ბოლშე-  
ვიკების საგარეო პოლიტიკას რუსეთის ინტერესების თვალ-  
საზრისით იწონებენ. მილიუკოვი კი,—რომელსაც ბოლშევი-  
კები სახავენ თავიანთ მოსისხლე მტრად,—რუსულ საგარეო  
და მისი იმპერიალისტურ პოლიტიკის როგორც კარგი მულ-  
ნე,—მამაშვილურ დარიგებებს აძლევს ჩიჩერინს და საბჭოთა  
საგარეო საქმეთა ხელმძღვანელთ.

ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც დაკარგა თავისი  
«საერთაშორისო რევოლუციის» პირდაპირი ხასიათი,—გადა-  
იქცა ბრუნდ მიზნებიან რუსულ რევოლუციად, რომლის ინ-  
ტერესები უმეტეს შემთხვევაში სრულიად არ ეთანხმება ეგ-  
რედ წოდებულ საბჭოთა კავშირში მობინადრე არარუს ერე-  
ბის ინტერესებს. არა ამ ერების კულტურულ-ეკონომიურ აყ-  
ვავებას ისახავს რუსეთი, არამედ მათ დამორჩილებას დამხო-  
ლოდ ამ თვალსაზრისით უნდა იქმნას განხილული მოსკოვის  
დამყიდებულება განაპირებთან. ურთიერთობა რუსეთსა

და საქართველოს შორის ამის საუკეთესო მაჩვენებელია. «წარმატების და კეთილდღეობის» დღესასწაულს პრესსა-ში და დახურულ კრებებზე, ქუჩის სანახაობებს, თუნდ გაძლიერებულს ზარბაზნის გუგუნით,—განა შეუძლიათ დაფარონ საბჭოთა ხელისუფლების 7 წლის ბატონობის გამანადგურებელი შედეგები ჩვენში? ყველაზე უკეთ ქართველ კომუნისტებს შეუძლიათ დაამტკიცონ, რადგან საამისო მოვლენებს მათ პრაქტიკაში ქონდა ადგილი, რომ ჩვენში მრეწველობის განვითარება ფიქცია, რომ მას სრულებით არ მოითხოვს რუსეთის კონომიკის ინტერესები. მათვის ისიც ნათელია, რომ რუსეთის პოლიტიკა ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მიმართ ძველებური დარჩა. და ის მცირე რამ, რაც ამ დარგში კეთდება,—მხოლოდ რუსეთის კონომიკის ხელის შემწყობია, მისგანაა სავსებით დამოკიდებული და მისთვის ნედლი მასალის მიწოდებაა. ამისათვის არსებობს მტკიცე «შეგუება» და «გეგმიანობა»,—უკეთ სასტიკი კონტროლი ყოველივე იმისა, რაც ადგილობრივ კეთდება, და ძირ-შივე ჩაკვლა ბუნებრივად აღძრულ ტენდენციებისა, ქართულ ინტერესებთან შეუსაბამობით. ისე ნათელი იყო ეს და არა პოპულიარული თვით კომუნისტებს შორის.—რომ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გაერთიანება ამიერ-კავკასიის მაშტაბით მეტათ ძნელი შეიქნა. 1926 წლის ცეკას მაისის გაფართოებულ პლენუმზე ამ საგნის მომხსენებელის გამონახვაც გაჭირდა. მდგომარეობა მოსკოვის თვალმა და ჩინმა—შ. ელიავამ იხსნა. მან მუქარით და მუჯლუგუნით მიაღებია პლენუმს შესაფერისი რეზოლუციია.

რამდენმა ახალ სახის წარმოებითი მრეწველობის პროექტმა ნახა უდროვო განსვენება სამეურნეო საბჭოს არქივში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი განვითარება აძლიერებდა საქართველოს კონომიურ დამოუკიდებლობას მოსკოვისაგან. ჩვენში ქიმიურ მრეწველობის შექმნის პროექტი, რომელსაც ხელსაყრელ პირობების გამო დიდი მომავალი აქვს,—უარყოფილი იქმნა არა მარტო საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ, არამედ წითელ არმიის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს მიერაც! ეს იყო 1924 წლის დამლევს და აგვისტოს აჯანყების გამოძახილი კიდევ ყურში ესმოდათ. რუსეთის ჯარის სარდლები სტრატეგიულ მოსახრებით საშიშრად და რუსულ ინტერესებისათვის არახელსაყრელად სთვლიდენ ტუილისში ქიმიურ მრეწველობის შექმნას. მართლაც, არსადაა



გარანტია, რომ აჯანყებულმა ხალხმა ქიმია ოკუპანტების წინააღმდეგ არ გამოიყენოს.

ვიღაც ავაქვს თუ დაუჯერებთ, ჩვენში ნამდვილი კომუნიზმი სუფეს, რადგან განხორციელებულია ლენინის კუდამოძული ფორმულა: საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროოფიკაცია! მაგრამ ხომ არავისათვის საეჭვო არ არის, რომ მუშის გამოკვების, ტან-ჩაცმის და საცხოვრებელ ბინის პირობები ომამდე არსებულ დონემდე არ ასულა. განა შეიძლება უარყოფა ჩვენში არსებულ ძალზე შესამჩნევ უმუშევრობისა? განა შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ჩვენში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა სანუგეშოა? როგორ უნდა იყოს დაკმაყოფილებული მუშა, როდესაც რკინის გზების, შავი ქვის, ქვანაზშირის და სხვა დიდ წარმოებათა შემოსავალის უდიდესი წილი მიაქვს ვეშაპს—მოსკოვის ხაზინას?!

მაგრამ სარეკორდო მდგომარეობამდე, თურმე, ჩვენში სასოფლო მეურნეობას მიუღწევია. ყოველ შემთხვევაში ასე სწერს მიწად-მოქმედების კომისარი გეგეჭკორი. ღმერთმა უწყის, როგორ მოხდა, რომ აგერ ეხლა მასიურ დასვრეტების გმირი—გეგეჭკორი შეიქმნა ბურჯი და ავტორიტეტი სასოფლო მეურნეობის საკითხებში?! არ არის არც ერთი დარგი სასოფლო მეურნეობისა, რომ არ ყვაოდეს, სწერს კომისარი. შეიძლება ითიქროთ, რომ გეგეჭკორის «დაულალავ მოლვაწეობის» წყალობით, ქართველმა გლეხმა მატერიალურად გაუსწრო დანის სოფლის მეურნეს. ეს დაცინვაა ჩვენი გლეხის ყოფა-ცხოვრებაზე, მის ნივთიერ დაქვეითებაზე, რაც შედეგია საბჭოთა ეკონომიკურ პოლიტიკისა სოფლად. საიდუმლოება არ არის, რომ საშინლად გაღატაკებულ სოფლიდან აუარებელი ხალხი გარბის უმუშევრებით ისედაც გადაჭვირთულ ქალაქში, სარჩოს და სამუშაოს საძიებლად. როგორ უნდა გაუმჯობესდეს გლეხის ნივთიერი მდგომარეობა, მისი მეურნეობა, როდესაც ნამდვილად სახელმწიფოს მონოპოლიური სავაჭრო აპარატია ბატონ-პატრონი მეურნე-გლეხის შრომის ნაყოფისა, რომელსაც სახელმწიფო სახაზინო კოოპერაციის საშუალებით ჩალის ფასად იკდებს ხელში. აგვისტოს ხალხსნურ აჯანყების ერთ მთავარ მიზნზად თვით ბოლშევიკები ასახელებენ სოფლის უზომო დაღარიბებას. განა მას შემდეგ სოფლად არსებითად შეიცვალა რამე? ამაზე თვით საბჭოთა გულუხვი სტატისტიკა ვერ იძლევა მათვის ხელსაყრელ ცნობებს. საქართველოს მშრომელ მოსახლეობის გაყვლეფა დღესაც გრძელდება, მოსახლეობისთვის მაღალ ფასებში რუ-

სულ უვარების საქონლის მიწოდებით და გლეხობის შროშის ნაყოფის დაკლებულ, მონოპოლიურ ფასებში შესყიდვით.

ხელისუფლება, რომელსაც თავი მოაქვს ამიერ კავკასია-ში ეროვნულ ზავის მატარებლად, პირიქით პროცესუალი ისეთ მდგომარეობას ჰქმნის მოსულ ტომთა და მკვიდრთა შორის, რომ ამის გამოსწორება ხანგრძლივი მძიმე მუშაობის შემდეგ იქნება შესაძლებელი. აქეთა მიმართული მისი პოლიტიკა ქალაქად და სოფლად. ქართველ ინტელიგენციის ექსპორტის საკითხის წამოყენება და სამაგიეროდ საბჭოთა დაწესებულებების კარების ფართოდ გალება მოსულ ელემენტებისათვის და სახელმწიფოს «თავისუფალ მიწებზე» უცხოელ ტომთა პატიუი დასასახლებლად. — აი, თურმე, საშუალებანი, ერთის მხრით ქალაქში არსებულ ინტელიგენციის უმუშევრობის და მეორეს მხრით, სოფლად არსებულ მიწის კრიზისის მოსაგვარებლად, რომლებიც გამომდინარებენ ბოლშევიკების «ეროვნულ ზავის პოლიტიკიდან!» არა გარტო ეკონომიური დაქვემდებარებით, არამედ ყოველგვარ საშუალებით ცდილობს მმართველი აპარატი დაუმორჩილოს საქართველო რუსეთს. მას ძლიერ აწუხებს ჩვენი კულტურული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან, რომელიც კიდევ არსებობს მაინც, მიუხედავად იმ ზომებისა, რომლებიც მიმართული არიან ქართულ კულტურის განადგურებისკენ, ჩვენი გადაგვარებისა და გარუსების ზრდისაკენ. რასაკვირველია მარიამ ორახელაშვილისთანა ადამიანები არ იზრუნებენ ქართულ ეროვნულ შემოქმედების დასაცავად!

უნივერსიტეტი ნახევრად განადგურებულია, საშუალო სკოლის გამოსწორება საბჭოთა გამოუცნობ რეფორმის შემდეგ ძნელი ტემპით მიღის. დაბალ საფეხურების სკოლებში არ არის საქმაოდ მასწავლებლობა და ვინც არის, მომზადება აკლია. მრავალი მოსწავლე სკოლის გარეშე რჩება, — აი ფაქტები, რომელზედაც თვით საბჭოთა პრესსა ლაპარაკობს. რა არის აქ სახარბიელო?! იქნებ, მშრომელთა საყოველთაო განათლება? მაგრამ რა შუაშია აქ ბოლშევიკურად გაგებული კლასობრივი პრინციპი?! კომუნისტები მშრომელთა რიცხვს აკუთვნიან მხოლოდ კომპარტიის წევრებს და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საიმედო პირებს. კომპარტიაში ითვლება ოცი ათასი წევრი, ამას დაუმატოთ მათვის საიმედო პირთა ერთი ამოდენა რიცხვი, რაც ერთ პროცენტზე ცოტა მეტს თუ შეადგენს საქართველოს მოსახლეობისას.

გამოდის რომ, დანარჩენ მოსახლეობას არ ქონია არც იუ-

რიდიული და არც ზნეობრივი უფლება, განათლება მისცეს  
თავის შეიღებს, რადგან ნებას არ რთავს ბოლშევიკების  
მიერ სახალხო განათლების პოლიტიკაში შემოღებული კლა-  
სობრივი პრინციპი.

ნელი და საიმედო ნაბიჯით გაბატონებული ხელისუფ-  
ლება ცთილობს თანდათანობით დაცილოს ჩვენს სკოლას  
მისი ეროვნულ-ალმწრდელობითი შეისწენელობა. ლენინის,  
ლენინიზმის, ოქტომბრის ლოზუნგების ქვეშ სწარმოებს მისი  
გადავგარება. და რომ მათ დასცალდეს, აქედან გამოვლენ არა  
საქართველოს მოქალაქენი, არამედ საკუთარ ეროვნულ მეო-  
ბას მოკლებულნი, მოსკოვის ყურმოჭრილი მონები. და ცხა-  
დია, რამდენათაც ამ მიმართულებით მარიამ ორახელაშვილს  
მიღწევები აქვს, მას შეუძლია მიეცეს სიხარულს, მაგრამ დიდი  
გულუბრყვილობას გამოიჩენს, თუ იფიქრებს, რომ მის სიხა-  
რულს იზიარებს საქართველოს დანარჩენი მოსახლეობაც.

ორახელაშვილს არ ჩამორჩება თავის დარგში, ცუ-  
დი ფორმაციის ჩვენებური ლუნაჩარსკი,—დუდუჩავა, რომე-  
ლიც წალმაჟულმა არიგებს ქართველ მწერალთა შორის «თა-  
ნამეზარის» და «მიუღებელის» პატენტს. ის კულტურის და  
ხელოვნების დარგში ხელისუფლების ერთ-ერთ იდეოლოგის  
როლს თამაშობს. ქართული თეატრი მისი გადაჭარბებულ  
ყურადღების საგანია. მადლობა ღმერთს, რომ ამ მხრივ მისი  
რჩევა-დარიგება და დირექტივები საგესებით არ სრულდება,  
თორემ ჩვენი თეატრი შეიქმნებოდა მხოლოდ წარსულის კუ-  
თვნილებად!

ქართულ დრამის მიმდინარე სეზონისადმი მიძღვნილ წე-  
რილში ერთი იშვიათი ბრძენი სწერდა: წელს უთუოთ მეტათ  
საინტერესო სეზონი იქნება, რადგან რეპერტუარში შეტანი-  
ლია ისეთი პიესები, საიდანაც განცევნილია ცხიქოლოგიზმი,  
რომანტიზმი და ესთეტიზმი? გასაკვირია, ამ დანათლებულმა  
თეატრალმა» ეს აბსურდი რატომ არ დასრულდა, ვსოდეთ,  
ამგვარ ბოლო სიტყვებით: და მათ ადგილს დაიკავებს ლე-  
ნინიზმი... როგორც დრამის ელემენტი! ყოველ შემთხვევაში,  
ის ლოდიკურად მსჯელობს. ნუ თუ მართლა რუსულიდან ნა-  
თარგმნი საეჭვო ლირსების პიესებით როგორიცაა «ილრია-  
ლე ჩინეთო», შეიძლება ქართულ თეატრის აყვავება?! და  
ყოველივე ამის შემდეგ, დუდუჩავას უგუნურობა იქამდის  
მიდის, რომ მთლიანად ეროვნულ ცხოვრების აღორძინე-  
ბასთან დაკავშირებულს, ქართულ თეატრის განვითარებას—  
საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად სთვლის. ქართული

თეატրո, ასე თუ ისე საზოგადოებისაგან დამოკიდებული, მე-  
დარებით თავისუფლად ასახავს ცხოვრებას, თუმცა ის ჩვენში  
მოკლებულია იმ თავისუფლებას, რომელსაც მოსკოვის თეა-  
ტრები სარგებლობენ. მაგრამ ასეთი უგუნური და უაზრო შე-  
ტევა ქმნის ჩვენი თეატრისათვის მისი ეროვნულ-კულტურულ  
მემკვიდრეობის შეწყვეტის საშიშროებას.

კუირილი ქართულ ლიტერატურის კრიტისჩე და ამით გა-  
მართლება რუსულიდან თარგმნილ ყოველგვარ ლიტერატუ-  
რის სიჭარბისა, რომელმაც გაავსო ნაძალადევად და ხელოვ-  
ნურად გახეთის, თვიურ გამოცემათა და ცალკე წიგნების  
ფურცლები და თეატრის რეპერტუარიც,—ყოველივე ეს შე-  
დეგია საბჭოთა იმ დრაკონულ ცენზურისა, რომელსაც ემორ-  
ჩილება ქართული მწერლობა.

არ არის არც ერთი დარგი საქართველოს ეკონომიკურ-  
პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებისა, რომელსაც არ ემუ-  
ქრებოდეს დამოკლეს ხმალი.

ქართველ კომუნისტებისათვის ოქტომბრის ათი წლის  
თავი საკმაოდ საპატიო საბაბია იმის, რომ ხელახლა შეაფასონ  
მოსკოვის ნებით ნაკისრი როლი. გარეთ და შიგ კომპარტია-  
ში გამეფებულ წარმოუდგენელ სულშემხუთავ პირობების  
გამო,—საიუბილეო დღეებში ქუჩის სიხარული და ზეიმი, ცხა-  
დია, ნაბრძანები და ნაკარნახევი იყო.

ნამდვილად კი იყო: გულწრფელთათვის ყოველგვარ იმედე-  
ბის გაცრუება და სინანული ასეთ ცუდ და ხიფათ საქმეში მო-  
ნაწილეობის გამო და, უთუოთ ფიქრი, თუ როგორ უნდა გამო-  
ინახოს ხალხთან დასაბრუნებელი გზები; «მოწყობილ და მო-  
კალათებულთა» გულში—სულიერი გახრწნა, პასივობა და ში-  
ში გამოუცნობ მომავალის წინაშე; და ნამდვილ ბოროტმო-  
ქმედთა და მოღალატეთათვის კი, ალსასრულის მოახლოვე-  
ბის გამო, შურისძიებისა და ბოროტებისათვის გულის მიცე-  
მა,—აი,—ნამდვილი ჯამი კომუნისტების განცდებისა აქტომ-  
ბრის საიუბილეო დღეებში.

ბები გოლიამ.

## ნაუ კურცია

რამდენიმე შენიშვნა ით. წერეთლის წიგნავის გამო.

ირ. წერეთელმა გამოსცა წიგნავი: «ჩვენი ტაკტიკის ძი-  
რითადი საკითხი», ეკამათება თავის ამხანაგებს და არ იწო-  
ნებს უმრავლესობის მოქმედებას საქართველოს განთავისუ-



ფლების საქმეში. ეს კამათი შინაპარტიული ხასიათისაა, მაგრამ ესება ჩვენი ეროვნული ბრძოლის საშუალებებს, რომელთაც ქართველ ს-დემოკრატებთან ერთად მიმართავენ საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიები, და მის მიერ აღძრული საგნები მთელი ჩვენი განმათავისუფლებელ მოძრაობის საკითხებია, ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთი შენიშვნის გამოთქმა დასახელებული წიგნაკის შესახებ.

ირ. წერეთელი გარკვევით აცხადებს, რომ «ერთა თავისუფალ ცხოველების მოწყობის საკითხი არის ის დიდი პრობლემა, რომელიც თანამედროვე ისტორიულმა წანამ წამოაყენა», რომ «საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა არის განხორციელება ერის თავისუფალ თვითგამორკვევის უფლებისა, რომელიც მთელ კულტურულ კაცობრიობაში უდავოდ ითვლება»; მისი პოზიცია გადაჭრით ანტიბოლშევიკურია, ხოლო სამართლიანად აღნიშნავს სრულ უსაფუძვლობას იმათ შეხედულებისას, რომელნიც ძალზე აირლებენ საქართველოს სუვერენობის აღდენის საკითხს და გადაჭარბებულ იმედებს ამყარებენ ევროპის სოციალისტურ თუ არა სოციალისტურ ძალების დახმარებაზე. აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც. რომ ი. წერეთელი თავის პრაქტიკულ მუშაობაში—სოციალისტურ ინტერნაციონალში ქართველი ერის ინტერესებს იცავს, საქართველოს თავისუფლების მოსარჩევდ გამოდის. მიზანი მისი წიგნაკისაც ესაა—საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელის შეწყობა. მაგრამ ის მეთოდი, რომლითაც ცდილობს ამის მიღწევას, მეტად ცალმხრივია, განყენებული და დაშორებული სინამდვილეს. თვითონ ასე ახასიათებს თავის მეთოდს: «ჩაგრულ ერთა ბრძოლის ფორმები მრავალგვარია, მაგრამ ამ მრავალ გვარობაში არსებობს ორი პრინციპიალურად განსხვავებული სისტემა: ერთია დემოკრატიული მეთოდით ბრძოლა, დაყრდნობილი ერის დემოკრატიულ შეგნების, ნებისყოფის და თვითმოქმედების განვითარებაზე, მისი კავშირის განმტკიცებაზე თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებთან მსოფლიო ასპარეზზე და თვით მის მაგვრელ სახელმწიფოს საზღვრებშიაც; ეს ნიშნავს ეროვნულ ბრძოლის გადამდას მთელი ქვეყნის დემოკრატიულ წინმსლელობის საქმესთან». ირ. წერეთლის მეთოდი არის «ხაზი ერთა დემოკრატიულ სოლიდარობის», საქართველოს განთავისუფლება უნდა დაუკავშიროთ «დემოკრატიის ძალა გავლენის ზრდას საერთაშორისო პოლიტიკაში». «ევროპის დემოკრატიის გავლენა ჩვენს ბედზე მჭიდროთ შეკავშირებულ

ლია იმ გავლენასთან, რომელსაც ევროპის ცხოვრება რუსეთის მთელ ვითარებაზე აზდენს. ბოლშევკიზმი არის ის ზღუდე, რომელიც ამართულია რუსეთსა და ევროპის შუა, მაგრამ მსოფლიო ეკონომიური პროცესი დღეს იმდენად გაერთიანებულია, რომ მთელი ქვეყნის და თვით რუსეთის საჭიროებანი არღვევენ და აუცილებლად კიდევაც დაარღვევენ ამ ზღუდეს და გზას გაუსხიან რუსეთშიაც იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც დღევანდელ ევროპის ცხოვრებას ახასიათებს.»

ამგვარად ირ. წერეთელი ჩვენი განმათავისუფლებელი მოლვაწეობის საშუალებად სახავს: 1) შიგნით დემოკრატიული შეგნების განვითარებას და თვითმოქმედებას და 2) გარეთ შეთანხმებას საერთაშორისო დემოკრატიის ზრდასთან, რომელიც თავის განვითარებით აუცილებლად დაქცევს ბოლშევიზმს, და მაშინ მოხდება საქართველოს განთავისუფლება. ამ მეთოდს ის უპირდაპირებს მეორეს—«მსოფლიო კონფლიქტების ხაზი»ს აღებას.

ვნახოთ, რამდენად შეეფერება ეს მეტად სადა და განმარტივებული შეხედულება ბოლშევკიზმის და კერძოთ ჩვენი საკითხის რთულსა და მძიმე მდგომარეობას? ყოველი დამონებული ერის განთავისუფლება, ცხადია, უპირველესად მისი საკუთარი საქმეა. ჩვენც თუ გვინდა დამოუკიდებლობის აღდგენა, ყოვლის უწინარეს უნდა დავეყმაროთ ჩვენს შინაურ ძალებს—ჩვენს შეგნებას და მოქმედებას. ჩვენი ავტორიც აღიარებს ამის აუცილებლობას, თუმცა არ განმარტავს, თუ რაში უნდა გამოიხატოს ის ლეგალური და არა ლეგალური თვითმოქმედება ბოლშევიკური წყობილების დროს, რომელსაც ურჩევს ქართველ ხალხს. მაგრამ მარტო ჩვენი ძალებით მიზანს ვერ მივაღწევთ და სავსებით ვეთანხმებით წიგნაკის ავტორს როცა ამბობს: «ჩვენი და ჩვენი დამპყრობილების ძალები იმდენად უთანასწოროა, რომ საკუთარის ძალ-ღონით მისი მოშორება არ შეგვიძლია», და ჩვენთვის მართლა ისმის საკითხი: ვის და რის დახმარებას უნდა მივმართოთ მტრის საწინააღმდეგო ბრძოლაში?

როცა ასეთი კითხვა არსებობს და საჭირო ხდება მოკავშირეების ძებნა, ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ყველა ის რეალური ძალა და მოვლენა, რომლებიც არღვევენ ბოლშევიზმს, დაინტერესებული არიან მის დაქცევაში და ებრძეონ მას. ასეთებია: კომუნისტური ოპოზიციის მოქმედება, რომელიც მიუხედავად მისი პირდაპირი მიზნისა, უკაველად აუძლურებს ბოლშევიზმს; ის შინაური ძალები, რომლებიც

ბოლშევიკურ ფარგლებში მუშაობენ, მაგრამ ბოლშევიზმს არსებობას ძირს უთხრიან; ანტიბოლშევიკური რუსული პარტიები დემოკრატიული თუ სოციალისტური, რომლებიც ებრძინან დღევანდელ რუსეთის წყობილებას; ის ერები, რომელნიც იჩაგრებიან ბოლშევიკების მიერ და ჩვენსავით ლა-მობენ თავისუფლების მოპოვებას. ეს თვით რუსეთში, ახლა გარეთ: რუსეთის ახლობელი მეზობელი სახელმწიფონი, რო-მელთანაც ბოლშევიკებს გაუთავებელი დავა აქვთ და რო-მელთა აფეთქებას ბოლშევიკები მუდამ ფიქრობენ თუ შინა-განი შეთქმულების მოწყობით თუ თავდასხმით; ევროპის და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ვერ ურიგდება ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას და წყობილებას და რო-მელსაც ბოლშევიკები განუწყვეტლივ ემუქრებიან; წითელი იმპერიალისტების და ბურუუზიული იმპერიალიზმის ქიშ-პლაბა, და დასასრულ ევროპის სოციალისტები, რომლებიც —ზოგნი მეტის, ზოგნი ნაკლების გამეტულობით — ცდილობენ გავლენის მოხდენას ბოლშევიკებზე და კერძოთ საქართვე-ლოს განთავისუფლების დამცველნი არიან.

ყველა აქ ჩამოთვლილი ძალა ურტყავს ბოლშევიზმს, ყველა დაინტერესებულია მის დაშლაში, თუმცა სხვადასხვა მოსაზრებით და საბოლოო მიზნით. მაშასადამე ყველა ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა საერთო მტრის წინააღმდეგ და ჩვენს განმათავისუფლებელ მუშაობაში უთუოდ უნდა გავითვალი-სწინოთ, ვინ რას აკეთებს, ეს მოქმედება ვიანგარიშოთ და ზოგიერთ რამეში კიდევ შეუთანხმდეთ. ზოგთან კავშირი მჭი-დრო და ახლობელი გვექნება, ზოგთან-კი უფრო დაშორებუ-ლი, ზოგს მეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგს ნაკლები ბოლშევი-ზმის დანგრევის საქმეში.

მართალს სწერს ირ. წერეთელი, რომ ევროპის სოციალი-სტები ჩვენი უერთგულესი მეგობრები არიან და მეტად ძვირ-ფასი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს საქმეს. მაგრამ გვიყვირს. რომ იგი დღეს არავის ხედავს გარდა სოციალისტებისა და დემოკრატიისა ბოლშევიკების მოწინააღმდეგ, ისეთად, რო-მელსაც შეუძლია იყოს ნებსით თუ უნებლიერ ჩვენი ბრძა-ლის ხელის შემწყობი და ჩვენი გამარჯვების მომაახლოებე-ლი. დემოკრატიის და სოციალიზმის დიდი ზრდა და მისი გავლენის გაძლიერება კაცობრიობის ცხოვრებაში უდავოა. უდავოა ისიც, რომ ის გაიმარჯვებს. მაგრამ ეს არ გვაძლევს საბუთს, დღეს უარვყოთ სხვა ძალების და ფაქტორების არსე-ბობა, რომელნიც ახლა შეიძლება გაცილებით მეტ როლს

თამაშობენ საერთაშორისო ურთიერთობაში, ვიდრე დემოკ-  
რატია თუ სოციალიზმი, და კერძოთ შეუძლიათ მეტი გავლე-  
ნაც მოახდინონ ბოლშევიკების ბეჭებე. და რომ ჩვენი დამოუ-  
კიდებლობის დაბრუნება მარტო სოციალიზმისა და დემო-  
კრატიის განვითარებაზე მივაგდოთ, დიდს დანაშაულს ჩავი-  
დენდით ჩვენი ერის წანაშე.

ირ. წერეთელი ჰგმობს მოქმედებას, რომელსაც რაიმე  
კავშირი ექნება ომთან. ჩვენც არ მოვითხოვთ, რომ ჩვენი გუ-  
ლისათვის საერთაშორისო ცეცხლი დაინთოს. ისიც კარგად  
ვიცით, რომ ჩვენის ნებით ეს ომი არც მოხდება. მაგრამ ვის  
შეუძლია თავს იდვას პასუხისმგებლობა, რომ ომი არ მოხ-  
დება ბოლშევიკების ნებით. განა მათი მთელი აზრი და საქმე  
იქითვენ არა მიმართული, რომ სადმე გართულება გამოიწვი-  
ონ, სახელმწიფოები ერთმანეთს დაატაკონ, ყველანი საერთო  
ომში ჩააბან? ბოლშევიკების მოღვაწეობა იმდენად ეწინააღ-  
მდევება განათლებული კაცობრიობის მორალურ და კულ-  
ტურულ შეგნებას, იმდენათ ცდილობენ ბოლშევიკები «ბურ-  
უაზიულ სახელმწიფოების» საქმეების არევ-დარევას, რომ  
ბოლოს და ბოლოს შეიძლება პირდაპირ დაისვას საკითხი  
ბოლშევიზმის აღვისა ფიზიკურად, შეიძლება ეს მოხდეს  
რუსეთის სრული ეკონომიურ-კულტურულ იზოლიაცით და  
შეიძლება შეიარაღებულ შეტაკებითაც. ამ შესაძლებლობას  
არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ. ასეთ შესაძლებლობას  
ვერ უარყოფს ირ. წერეთელიც, როცა ამბობს: «იქნება რუსე-  
თის დესპოტიის დაცემა მხოლოდ შინაურ ვითარების ნაყო-  
ფი, თუ ამას ზედ დაერთება თვით ბოლშევიზმის გამოწვეუ-  
ლი გარეშე კატასტროფა»-ო; ხოლო აქეთან არ აკეთებს სათა-  
ნადო პრაქტიკულ დასკვნას.

ჩვენს ავტორს არ მოსწონს ჩვენი ეროვნულ საქმის  
დაკავშირება რუსეთის სხვა დაჩაგრული ერების განთავი-  
სუფლებასთან. ამ ერებთან უნდა გვქვენდეს დემოკრა-  
ტიული სოლიდარობა, «მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ  
ჩვენ ყოველ ამ ერისთვის—მიუხედავად იმისა, სურს ეს ამ  
ერს თუ არა—ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობა უნდა  
გიქადაგოთთ». ჩვენი დლევანდელი ინტერესი გადაჭრით მოი-  
თხოვს, რომ საქართველო თავის ბრძოლაში ბოლშევიკების  
წინააღმდეგ შეუკავშირდეს სხვა დამონებულ ერებს და ეს შე-  
კავშირება დლეს ჩვენი ერთი ძლიერ იარაღთაგანია. მაგრამ  
ასეთი ინტერესიც რომ არ არსებობდეს, ჩვენ წმინდა დემო-  
კრატიულისა და სოციალისტური მოსაზრებით აშკარად მხა-

რი უნდა დაუჭიროთ მათ ბრძოლის ეროვნულ განთავისუფლებისათვის. ეროვნული თავისუფლება თუ სიკეთეა, ის საჭიროა ყველასათვის. ოვეორც ყოველი პიროვნება თავისუფალია, ისევე თავისუფალი უნდა იყოს ყოველი ერიც. რადგან პიროვნების თავისუფლება მოკლებულია ყოველ შინაარსს, თუ უზრუნველყოფილი არაა ეროვნული თავისუფლებით, ხოლო უკანასკნელის საუკეთესო ფორმა დამოუკიდებლობაა, სადაც არაა ამის შეგნება, მოვალენი ვართ ეს შეგნება შევიტანოთ. რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები უნდა განთავისუფლდნენ, ეს უმაღლესი ადამიანობის საქმეა და დემოკრატიული, სოციალისტური მოწოდებაა.

ეს ხელს შეუმლის ქართველი ხალხის კეთილგანწყობილებას რუსის ხალხთან? ირ. წერეთელი გვირჩევს თანამშრომლობას რუსის დემოკრატიასთან და ნუ «გადავიტანთ რუსეთის ხალხზე იმ გრძნობებს, რომელსაც თესავს ჩვენში გაბატონებული ბარბაროსული დესპოტიაო». რუსის დემოკრატიასთან შეთანხმება და თანამშრომლობა, ცხადია, საჭიროა; მაგრამ მეტად მავნებელი იქნებოდა ჩვენთვის ილიუზია, თითქოს დემოკრატიის დამყარება რუსეთში თავისთვალ სწყვეტდეს ჩვენს საკითხს უთუოდ და უზრუნველყოფდეს ჩვენს დამოუკიდებლობას. წარსულის ამბებს რომ თავი გავანებოთ, დღესაც რუსის დემოკრატები არა ბურუუაზიული, არამედ სოციალისტურიც, ისეთს აზრებს ამჟღავნებენ. რომ ეჭვი გვებადება—მართლა არიან ისინი ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრენი? გარდა ამისა, რუსეთს რომ სხვა პატარა ერების დამორჩილება სწადია, ეს არ უნდა მივაწეროთ მარტო ამა თუ იმ მართველ წრეს თუ პარტიას—აქ მთავარია საზოგადოდ ყველა დიდი ერის საერთო იმპერიალისტური მისწრავება გაფართოვებისა და პატარა ერების დამონებისა. სამწუხაროდ, ამ მიღრეკილებას ხშირად თან მიყვებიან რუსის სოციალისტებიც და ეს რასაკვირველია აძნელებს ჩვენსა და მათ შორის გულწრფელ მორიგებას.

ბ.

### 6. კორდანია: «ჩვენი უთანხმოვნია».

გამოვიდა ნ. კორდანიას საყურადღებო წიგნაკი რუსულ ენაზე «ჩვენი უთანხმოვნიანი». ავტორი ეკამათება რუსის სოციალისტებს და ალნიშნავს მათ შეცოომებს ტაქტიკისა და

ეროვნულ საკითხებში. ქართველი მკითხველი საზოგადოება საკმაოთ იცნობს ბ. ნ. ეორდანიას აზრებს, რომლებიც არა ერთხელ გამოუთქვამს პერიოდულ გამოცემებში, თუ ცალკე წიგნაკებში. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ახალ ბროშიურიდან შემდეგი სიტყვები:

«არიან გულუბრყვილო სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი საქმე არაა, თავი ვიმტვრიოთ ეროვნულ საკითხის გადაჭრაზე, რადგან მას ისედაც გადაწყვეტს სოციალიზმი. ეს განმეორებაა უტოპისტების ძევლი შეხედულობისა—რომ თავისუფლებას და დემოკრატიას სოციალიზმი განახორციელებს და ახლა საჭირო აღარაა მათი მოთხოვნაო. ეს «თავისუფლებას მოკლებული სოციალიზმი» დღეს მარტო ბოლშევიკების კუთვნილებაა. გულუბრყვილო სოციალისტებმა უარყვეს ერთი, დემოკრატიული უტოპია, მაგრამ დღეს ხელი ჩასჭიდეს მეორეს—ეროვნულს. თუ საზოგადოთ დემოკრატია აუცილებელი ეტაპია სოციალიზმის გზაზე, აშკარაა, რომ ეროვნული თავისუფლება, როგორც ნაწილი დემოკრატიული თავისუფლებისა, ამავე გზაზეა... პოლიციურ უფლებასა და ეროვნულ მონაბაზე დაყრდნობილი საზოგადოება სოციალიზმს ვერ მიწვდება.—გულუბრყვილო სოციალისტები გულუბრყვილო ინტერნაციონალისტებიც არიან. ეროვნულ თავისუფლებას ნაციონალისტურ შინაარსს აძლევენ, რომელიც ხელს უშლის საერთაშორისო დაახლოვებას. რაც უფრო ნაკლები იქნება სახელმწიფოთა რიცხვი, მით უკეთესი ინტერნაციონალისტვისთვისთვის, დაასკვნიან ისინი. მაგრამ ინტერნაციონალი გულისხმობს მისი შემადგენელ ნაწილების—«ნაციონალების» არსებობას. ორში ერთი: ამ ნაწილებად ყოფნა მხოლოდ ზოგიერთების უპირატესობაა, ან ეს უფლება ყველას ეკუთვნის, და მაშინ საჭიროა ეროვნულ ერთეულების, მოწყობა...»

გთიქონდთ, რომ ეს აზრები სახელმძღვანელოა ჩვენი პოლიტიკურ მოღვაწეებისათვის.

### წერილი საქართველოდან \*

«... თქვენ, რასაკვირველია, გაინტერესებთ საერთო და კერძოთ, ჩვენი პარტიული მდგრადეობა. საქართველოს დღე-

\* ეს წერილი პოლიტიკური ტუსალისა კარგა ხანია მივიღეთ, მაგრამ ვძეჭდავთ, რადგან მის ცნობებს დღესაც მნიშვნელობა აქვს.

ვახდელი ცხოვრება ასეთია: ხალხის სულიერი გაწყობილება თითქოს შეეგუა იმ გარემოებას, რომ მოლოდინის წინააღმდეგ ბრძოლა განთავისუფლებისათვის გახანგრძლივდა, ამიტომ ის პასიურად ატარებს საშინელ შურსა და მტრობას ახირებულ «წყობილებისადმი». ამას რა თქმა უნდა კარგათ ამჩნევენ ოკუპანტები და არ უჩანს ბოლო ქართველ ხალხზე ნადირობას. საკმარისია, მეორე ინტერნაციონალის რომელიმე წევრმა ცუდათ მოიხსენიოს კომუნისტური პარტია ან ინგლისელ კონსერვატორმა საბჭოთა მთავრობა, რომ მოსკოვიდან გადმოიძახოს ბუხარინმა: «ქართველო ამხანაგებო, ფრთხილად!» და ჩვენში მაშინვე ადამიანებზე ნადირობა ლებულობს მასიურ ხასიათს. ბრალიანსა და უბრალოს იჭერენ განუკითხავად და ეს გადაექცათ ისეთ მოთხოვნილებად, როგორც ჭამა და სმაა. მოყავთ ჯგუფობით დაჭერილები და დიდმა უმრავლესობამ არც კი იცის, თუ რად მოხვდა ციხეში და თუ ასეთებს სამი-ოთხი წლის წინეთ, ციხეში გატარებულ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ანთავისუფლებდენ, ეხლა ყოველგვარ ბრალდების გარეშე გზავნიან ყველას ციმბირის ციხეებში. მისდევენ ერთი მეორეს სატუსალო რონდები ნახევრად მშიერ და ტიტველი ხალხით, რადგან «გადაწყვეტილებას» ორ ან სამი დღით ადრე ატყობინებენ და ეს დრო არ ყოფნით საჭირო მომარაგებისათვის. არის შემთხვევა, როდესაც ნაბრძანებია გამოცხადებისთანავე აიბარგონ პატიმრები სამგზავროთ. ამ ჩიადაგზე მარტის პირველ რიცხვებში კონფლიკტიც მოხდა. ორმოცდა ათამდე პოლიტპატიმარმა პროტესტი და უარი განაცხადეს წასკლაზე. მოითხოვეს გ. პ. უ.-ს პროკურორი, რომ მას მიეცა ვადა მოსამზადებლად, მაგრამ ეს ცდა უშედეგოთ დასრულდა. მათ რიცხვში გადაასახლეს მოხუცი ცოლ-ქმარი კალანდაძენი, ორთავეს ციხე ჰქონდა მისჯილი; ცოლმა სასჯელი დაასრულა კარგახნით ადრე. ქმარს კი ერთი წელი უკლდა. კიდევ არიან სხვები, რომლებმაც სასჯელის ვადა დაასრულეს, მაგრამ არ ანთავისუფლებენ და არც ამის მიზეზს ეუბნებიან.

გ. პ. უ.-ს უფლებები ჩეკასან შედარებით თოთქოს შეზღუდულია, მაგრამ საქართველოში ბ-ბის აზრით ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს და ეხლანდელ გ. პ. უ.-ს უფლებები გაცილებით ალემატება ძველ ჩეკისას. ეს «შელავათი» მოსკოვიდან აქვთ მინიჭებული, რომ რაც შეიძლება უკეთ გაანადგურონ ქართველი ხალხი და, სიმართლე უნდა ითქვას, ამ მხრივ ისინი თავს არ ზოგავენ და უდიდეს ენერგიას იჩენენ,

ოთა პირნათლად შეასრულონ ზემოღან დაკისრებული და-  
ვალებანი.

ცნობებია კიდევ დიდი დაჭრებისა დასავლეთ საქართვე-  
ლოში. ესეკაა დასრულდა «საქართველოს საბჭოების ყრი-  
ლობა», რაც შეიცავდა ჩვეულებრივ ტრაბახს და ურთიერთ  
ქებას. «დიდი» კამათისა და გადარჩევ-გადმორჩევის შედევგ  
არავითარ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი. «მთავრობა» დარ-  
ჩა იმავე შემადგენლობით, როგორც ის არსებობს რამოდენი-  
მე წელია, მხოლოდ ცნობილმა ძერიამ ჩაიბარა შინაგან საქ-  
მეთა კომისარიატი თავის ტრადიციულ თანამდებობაზე დარ-  
ჩნით.

გასულ წლიდან დღემდე აწარმოებდენ «ფასების დაკლე-  
ბის კამპანიას», მაგრამ ცხოვრება თავისას აკეთებს და თუ  
მატულობს, თარემ ფასების დაკლება არათერს ეტყობა.  
«კამპანია» კი ძირიად ჯდება. ეს ზომაც, როგორც ბოლშევიკე  
ბის სხვა განკარგულებანი არაა გულწრფელი, ის სააგიტა  
ციო მასალაა. რა საჭიროა ამოდენა აურზაური, ყვირილი?  
ვინ ედავებათ? ყველაფერი ხომ მათ ხელშია. საჭიროა მხო-  
ლოდ განკარგულება ტრესტებისადმი, რომ საქონლის ფასმა  
დაიკლოს რამოდენიმე პროცენტით. რაც შეეხება აღმშენე-  
ბლობას, ეს ხომ ყველა მათვანს ენაზე აკერია! და მართლაც  
რომ უამრავი პროექტებია შედგენილი. ზაჰესი უნდა ჩაითვა-  
ლოს დამთავრებულად; მისი ამჟავება სამხელ იყო დანიშ-  
ნული, მაგრამ რაღაც დეფქტების გამო გადაიდო. ბევრს ლა-  
პარაკობენ იმ ბოროტმოქმედებებზე, რომელთაც ადგილი  
ჰქონდა ზაჰესის აგების ღროს. ამნაირად დიდს საალაშენებ-  
ლო განზრახვებს და სურვილებს ამჟღავნებს და იღრჩობიან  
გეგმების მორევში...

ერთად ერთი საყურადღებო საქმე, რომელიც ხელისუფ-  
ლებამ მთელი თავისი არსებობის ხანში ჩატარა, ეს არის  
საქართველოს მოსახლეობის აღწერა, თუმცა საეჭვოა, რომ  
ამ მუშაობის ყველა დასკვნები ხელისუფლებამ გამოაქვეყ-  
ნოს. მთელ საქართველოში აბხაზეთ-ოსეთიანად 2.600.000 სუ-  
ლი ითვლება. თუ მეტი არა, ჩვენში 600 ათასი უცხო ეროვნე-  
ბის სულია. ეს მით უფრო სახიფათოა, რომ ხელისუფლება  
არ ერიდება და აშკარად ქმნის ხელოვნურ პირობებს ქართვე-  
ლი მოსახლეობის შესასუსტებლათ....»